



## მოსაზრებები “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით

2013 წლის ივნისი

ავტორი: უჩა სეთური

დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის დ) პუნქტი - დამოუკიდებლობა – როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს, ისე კომისიონერის შესაძლებლობა, არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევის გარეშე განახორციელოს მარეგულირებელი ორგანოს შესაბამისი კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილება, მათ შორის, განიხილოს, გამოიკვლიოს და გადაწყვიტოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხები; დაუშვებელია ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ჩარევა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობაში, ამ საქმიანობის კონტროლი და აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული შესაბამისი კანონით.

### 1. ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაცია

ევროპაში აღნიშნული პროცესი დაიწყო 1996 წლის შესაბამისი დირექტივის მიღებით. კავშირის წევრ სახელმწიფოებს უნდა გამოეყოთ კომპეტენტური ორგანოები, რომელიც დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო მხარეებისაგან და რომელსაც უნდა გადაეწყვიტა დავები კონტრაქტებთან და ვაჭრობის, ასევე დაშვებასთან დაკავშირებულ

შეთანხმებულ საკითხებთან დაკავშირებით.<sup>1</sup> 2003 წელს ევროსაბჭომ და პარლამენტმა მიიღო ახალი დირექტივა ევროპის ერთიანი ელექტრონული ბაზრის ფორმირების მიზნით.<sup>2</sup>

*ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების უმეტესობა ირჩევს სექტორზე ორიენტირებულ მარეგულირებლების მოდელს, რომელიც დამოუკიდებელია როგორც კომერციული ინტერესებისაგან, ასევე შესაბამისი დარგობრივი სამინისტროებისგან.<sup>3</sup>*

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, ევროკავშირისა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ნაწილია. შეთანხმების თანახმად, საქართველო უნდა ეცადოს ეტაპობრივად მიუახლოვოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირისას. ამავე მუხლში ჩამოთვლილია ის სფეროები, რომლებიც უნდა მოიცვას საკანონმდებლო ჰარმონიზაციამ, მათ შორის საინვესტიციო მიმართულება, კონკურენციის მიმართულება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა. შეთანხმების დადების შემდგომ, საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა მთელი რიგი ნაბიჯებისა ამ მიმართულებით. 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება N828-IX, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შემუშავებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგია, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის N613 განკარგულებით. საქართველოს კანონმდებლობის ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა ეროვნული პროგრამის შემუშავება. პროგრამაზე მუშაობა 2001-2003 წლებში მიმდინარეობდა. 2004 წლის 8 მაისის განკარგულებით საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა.<sup>4</sup>

<sup>1</sup> Directive 96/92/EC of the European Parliament and of the Council of 19 December 1996 concerning common rules for the internal market in electricity. Article 20, paragraph 3.

<sup>2</sup> DIRECTIVE 2003/54/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 June 2003. „concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 96/92/EC.

<sup>3</sup> Independent Regulatory Authorities in Europe . Anders Larsena, , Lene Holm Pedersenb, , Eva Moll Sørensen and Ole Jess Olsenc.

<sup>4</sup> [http://eu-integration.gov.ge/?que=geo/georgia and the eu/pca](http://eu-integration.gov.ge/?que=geo/georgia%20and%20the%20eu/pca)

2006 წლის ნოემბერში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო (ENP AP) გეგმით განისაზღვრა მხარეთა შორის თანამშრომლობის ახალი პრიორიტეტები, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით. 2007 წლიდან კანონმდებლობის ჰარმონიზაცია გაგრძელდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველო ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP AP) შესაბამისად. ევროკავშირის “სამეზობლო პოლიტიკა” ეფუძნება სხვადასხვა ღონისძიებების რეალიზაციას, მათ შორის

ევროკავშირის “სამეზობლო პოლიტიკაში” მონაწილე ქვეყანათა ინტეგრაცია ევროპულ სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და სატელეკომუნიკაციო ქსელებში. ასევე მნიშვნელოვანია

ინვესტიციების ხელშეწყობის მიმართულება, რომელიც ჩვენი მოსაზრებით, პირდაპირ კავშირშია დარგის მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობასთან პირველ რიგში პოლიტიკური გავლენისაგან.

მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის საკითხის შეფასებისას, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, შეფასდეს მისი დამოუკიდებლობის ხარისხი ხელისუფლების მხრიდან კონტროლის კუთხით <sup>5</sup>, რომ მოხდეს ინტერესების მაქსიმალური დაბალანსება.<sup>6</sup>

პირველი შეფასებით, როდესაც არსებობს შეზღუდვა მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობის კუთხით (თუნდაც მცირე ხარისხის) სამთავრობო და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან, მარეგულირებლები ხდებიან სახელმწიფო აპარატის ნაწილი. იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებლებს მიენიჭებათ ფორმალური დამოუკიდებლობა, მათზე ზემოქმედება შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა გზებით, მაგალითისათვის, არაფორმალური პოლიტიკური გავლენების გზით ან/და დაფინანსების შეკვეცით. მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურ გამიჯვნასთან ერთად, მკაცრად და ზუსტად განისაზღვროს პოლიტიკურ სისტემასთან ურთიერთობის საკითხები და მიმართულებები.<sup>7</sup> აღნიშნული ზომები განსხვავებული უნდა იყოს შესაბამისი სამინისტროს დისკრეციული უფლებამოსილებებისაგან, ამომწურავად უნდა იყოს განსაზღვრული და მოიცავდეს ექსკლუზიურ

<sup>5</sup> »independence of control by the governor and legislature, independence of control by utility companies, and independence in the sense of integrity and impartiality« (Fesler quoted in Mitnick, 1980:69).

<sup>6</sup> The emphasis on intangible qualities such as integrity and impartiality is quite in line with other scholars like Stern (1997) and Teitgen-Colly (1988: 26-27), who point to the role of independent regulators in balancing interests and making all parties understand the rules of the game

<sup>7</sup> Stern, 1997; Stern and Holder, 1998; Majone, 1996; OECD, 2001; Greve, 2002.

უფლებამოსილებებს, მათ შორის სანქციის დაკისრების უფლებამოსილებას. აღნიშნული საკითხი მეტ-ნაკლებად დარეგულირებულია “**ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ**” საქართველოს კანონით. სხვა ზომები უნდა მოიცავდეს არაფორმალური ზეგავლენის პრევენციას და მინიმალიზაციის მიმართულებებს პოლიტიკური ხელისუფლებისაგან. უმნიშვნელოვანესია კომისიის წევრების უფლებამოსილების ვადაში ხელშეუხებლობის საკითხი, რომ თავიდან იყოს აცილებული წევრების დანიშვნა-განთავისუფლება პოლიტიკური გარემოს ცვლილებების შემთხვევაში. იმისათვის, რომ ავირიდოთ მდგომარეობა, როდესაც მარეგულირებელი კომისია იღებს ინსტრუქციებს დამნიშნავი სტრუქტურის მხრიდან, თუნდაც იმ მიზნით, რომ მოიპოვოს ხელახალი დანიშვნის გარანტიები შემდგომი ერთი ვადით, მარეგულირებელი კომისიის კომპლექტაცია უნდა მოხდეს თუნდაც ხელისუფლების სხვადასხვა შტოს მიერ (პარლამენტი და უკიდურეს შემთხვევაში მთავრობა). <sup>8</sup> მარეგულირებელ ორგანოში განმეორებით დანიშვნის საკითხები შესაძლოა განხილული იყოს საკანონმდებლო დონეზე, როგორც წევრად, ასევე მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარედ.

ყველა ზომა ორგანიზაციის ავტონომიურობისათვის, უზრუნველყოფს მის მაქსიმალურ დამოუკიდებლობას. დამოუკიდებლობის პირველი გარანტი ფინანსური დამოუკიდებლობა წარმოადგენს, <sup>9</sup> რაც დარეგულირებულია შესაბამისი კანონმდებლობით, თუმცა მოითხოვს შესაბამის კორექტირებას.

## 2. დამოუკიდებელად გადაწყვეტილების მიღების მიზნები

ხელისუფლებისაგან და კერძო სექტორისაგან დამოუკიდებლობის შემდგომ, მნიშვნელოვანია **დამოუკიდებლობა გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე**. ლიტერატურაში, ავტორები აქცენტს აკეთებენ განსხვავებაზე იმ მარეგულირებელ ორგანოებს შორის, რომლებიც რეალურად ფლობენ ძალაუფლებას მიიღონ მავალდებულებელი ძალის გადაწყვეტილება და იმ ორგანოებზე, რომლებიც მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციით შემოიფარგლებიან. <sup>10</sup> აქედან გამომდინარე, **უმნიშვნელოვანესია, რომ მარეგულირებელი კომისია აღჭურვილი იყოს**

<sup>8</sup> Independent Regulatory Authorities in Europe. Anders Larsena, Lene Holm Pedersenb, Eva Moll Sørensen and Ole Jess Olsenc.

<sup>9</sup> Pfeffer, J. and G. R. Salancik (1978). The External Control of Organizations: A Resource Dependence Perspective. New York, NY, Harper and Row.

<sup>10</sup> Transfer and transformation in processes of Europeanisation LENE HOLM PEDERSEN. Department of Political Science, University of Copenhagen, Denmark. <http://www.regulation.upf.edu/ecpr-05-papers/lhpedersen.pdf>

## გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების რელაური უფლებამოსილებით.

იდეალურ შემთხვევაში მარეგულირებლები არ მონაწილეობენ ე.წ. სერვისების და ჩვეულებრივი ადმინისტრაციული ამოცანების განხორციელებაში, ისევე, როგორც დარგის პოლიტიკის შემუშავებაში. აღნიშნული საკითხი აქტუალურია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საკითხთან კონტექსტშიც.<sup>11</sup> აღნიშნულის სანაცვლოდ, მარეგულირებლებს მინიშნებული აქვთ უფლებამოსილება დაადგინონ წესები, მაგალითად, ქსელთან დაშვების ტარიფებთან დაკავშირებით, იმ მიზნების მისაღწევად, რაც მათ კანონმდებლობით აქვთ დაკისრებული.<sup>12</sup> დამატებით უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი ითავსებს ასევე დავების განხილვის ფუნქციას. მარეგულირებელში გამიჯნულია სამი ძირითადი მიმართულება, როგორც არის ნორმატიული წესების დადგენა, მათი გამოყენების უზრუნველყოფა და დავების გადაწყვეტა.<sup>13</sup>

### 3. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოები

ენერგეტიკის სფეროს რეგულატორების ორგანიზაციის (CEER<sup>14</sup>) მიერ ჩატარდა კვლევა დამოუკიდებლობის ხარისხის გასარკვევად.<sup>15</sup> ევროპის კავშირის ქვეყნების პრაქტიკა არაერთგვაროვანია, თუმცა ყოველთვის არ მოდის შესატყვისობაში შესაბამის რეკომენდაციებთან. ზოგიერთი მარეგულირებელი წარმოადგენს სამინისტროს ნაწილს, რომელთა მართვა სხვადასხვა სახით ხორციელდება. ზოგიერთ მათგანს მართავს კომისია/საბჭო, ხოლო მეორე ნაწილს სააგენტოს დირექტორი. როგორც წესი კომისიონერები ან საბჭოს წევრები არიან ექსპერტები კომისიის ქვემდებარე **სხვადასხვა საკითხებში: სამართლებრივი, ტექნიკური და ეკონომიკური მიმართულებით.** ისინი არიან, როგორც წესი, სამეცნიერო წრეების ან/და საკონსულტაციო სფეროს წარმომადგენლები, ყოფილი მარეგულირებლის კადრები ან სამოქალაქო

<sup>11</sup> შენიშვნა: ამოწურვადი რესურსის გაცემა, რიგ შემთხვევებში სრულიად ფორმალურ ხასიათს ატარებს და მისი რეალიზაცია შესაძლოა სამინისტრომ შეთავსოს.

<sup>12</sup> Dimensions of Regulatory Independence – A Comparative Study of the Nordic Electricity Regulators. [http://www.marketdesign.se/images/uploads/2003/cp\\_061603\\_13\\_pedersen\\_larsen.pdf](http://www.marketdesign.se/images/uploads/2003/cp_061603_13_pedersen_larsen.pdf)

<sup>13</sup> INDEPENDENT REGULATORY AGENCIES IN TURKEY: ARE THEY REALLY AUTONOMOUS? SERI'YE SEZEN\* *Public Administration Institute for Turkey and the Middle East, Turkey*

[http://www.academia.edu/640079/Independent\\_regulatory\\_agencies\\_in\\_Turkey\\_are\\_they\\_really\\_autonomous](http://www.academia.edu/640079/Independent_regulatory_agencies_in_Turkey_are_they_really_autonomous)

<sup>14</sup> [www.energy-regulators.eu](http://www.energy-regulators.eu)

<sup>15</sup> შენიშვნა: არ შედის გერმანია, რომელსაც არ ყავს დამოუკიდებელი რეგულატორი ამ სფეროში. შესასწავლი ქვეყნების სიაში მოხვდა ჩრდილოეთ ირლანდია და ნორვეგია.

საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლები.<sup>16</sup>

სამხრეთ ევროპული ყველა ქვეყანა (საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი და იტალია), ისევე როგორც დიდი ბრიტანეთი, ბელგია, საფრანგეთ და დანია, მიეკუთვნება კომისიური მმართველობის ტიპის მარეგულირებელი ორგანოების ქვეყნებს. პორტუგალიაში და იტალიაში მართავს კომისიას სამი წევრი (თავმჯდომარე და ორი რიგითი წევრი). სხვა ქვეყნებს ყავთ მეტი რაოდენობის წევრები. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობაში (ნიდერლანდები, შვედეთი, ფინეთი და ნორვეგია) მარეგულირებელი ფორმულირებულია, როგორც სააგენტო, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი. ნორვეგიაში და შვედეთში მარეგულირებელი ენერგეტიკის სამინისტროს ნაწილია, ხოლო ნიდერლანდებში, კონკურენციის რეგულატორის.<sup>17</sup>

### რამდენად არის მარეგულირებლები დისტანცირებული მთავრობისაგან?

აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილია რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მოსაზრება. ენერგეტიკის მარეგულირებლების მსოფლიო ფორუმზე (World Forum on Energy Regulation) წარმოდგენილი იყო რამდენიმე რეკომენდაცია:<sup>18</sup>

“მარეგულირებელი ორგანო გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა იყოს გამოცალკევებული და გამიჯნული ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. დამოუკიდებლობა მოიცავს, პროცედურებს, რომლის მიხედვით კომისიონერების (წევრების, მარეგულირებელი ორგანოების თავმჯდომარეების) დანიშვნა ხორციელდება გამჭვირვალედ. კომისიონერები ინიშნებიან კანონმდებლობით წინასწარ დადგენილი ვადებით (ფიქსირებული მანდატებით). დამოუკიდებლობის სხვა ელემენტია მარეგულირებლის ბიუჯეტი, რესურსები და საშუალებები, რომლებიც აუცილებელია ენერგეტიკის სფეროს რეგულირებისათვის, იმ ამოცანების შესასრულებლად, რაც კანონმდებლობით დაკისრებული აქვს კონკრეტულ ორგანოს.”<sup>19</sup>

<sup>16</sup> Independent Regulatory Authorities in Europe. Anders Larsena, Lene Holm Pedersenb, Eva Moll Sørensen and Ole Jess Olsenc

<sup>17</sup> [http://www.oecd-ilibrary.org/energy/energy-policies-of-iea-countries\\_19900082](http://www.oecd-ilibrary.org/energy/energy-policies-of-iea-countries_19900082)

<sup>18</sup> შენიშვნა: The International Energy Agency (IEA) and the World Bank (see IEA, 2001; and Smith, 1997) წარმოდგენილი იყო ანალოგიური შინაარსის რეკომენდაციები

<sup>19</sup> World Forum on Energy Regulation, 2003.

მარეგულირებელი ორგანოს წევრები, რომლებიც თანამდებობაზე აირჩევიან/ინიშნებიან უფლებამოსილების ხანგრძლივი ვადით და რომლებიც არ არიან უფლებამოსილნი დაიკავონ თანამდებობები მთავრობის ვერტიკალშიც, არ შეიძლება დათხოვნილ იყვნენ პოლიტიკური მიზეზების გამო, განსხვავებით იმ მარეგულირებლის წევრებისაგან, რომლებიც თანამდებობებზე ხვდებიან უფლებამოსილების განხორციელების მცირე ვადით (საპარლამენტო-საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადაზე მცირე ვადით), რომელთა განთავისუფლება შესაძლოა მოხდეს დროის მოკლე ინტერვალში პოლიტიკური გარემოს ცვლილებებიდან გამომდინარე.

მარეგულირებელი ორგანოების უმეტესობაში წევრები ინიშნებიან მთავრობის ან მინისტრების მიერ 4-7 წლიანი ვადით. მხოლოდ საფრანგეთში, საბერძნეთში, იტალიაში და ესპანეთში ამ პროცესში ჩართულია საკანონმდებლო ხელისუფლება.

#### 4. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციები

ევრო პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციების შესაბამისად, განსაზღვრულია გარკვეული წესები წევრი სახელმწიფოებისათვის.<sup>20</sup>

ევროპის კავშირის წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობა,<sup>21</sup> მიუკერძოებლობა და გამჭვირვალებობა.<sup>22</sup> ამ მიზნებისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რომ, დაკისრებული რეგულირების ვალდებულების შესრულება განხორციელდეს:

- ა) საჯარო ან კერძო ორგანიზაციებისაგან სამართლებრივად გამიჯნული და ფუნქციურად დამოუკიდებელი სუბიექტის მიერ;
- ბ) უზრუნველყოს, რომ დასაქმებულები დამოუკიდებლები იყვნენ ბაზრის მოთამაშეების გავლენისაგან და ასევე მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისას მარეგულირებელმა არ გამოითხოვოს ან მიიღოს რაიმე სახის ინსტრუქცია სამთავრობო ან სხვა სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციისაგან.

<sup>20</sup> <http://wikis.fu-berlin.de/display/oncomment/Art.+35+-+Designation+and+independence+of+regulatory+authorities+-+Directive+2009-72>

<sup>21</sup> შენიშვნა: პირველ რიგში აქ მოიაზრება პოლიტიკური დამოუკიდებლობა

<sup>22</sup> DIRECTIVE 2009/72/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 13 July 2009 concerning common rules for the internal market in electricity and repealing Directive 2003/54/EC

იმისათვის რომ დაცული იყოს მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მარეგულირებელი ორგანოსთვის შემდეგი უფლებამოსილებების მინიჭება:

ა) მიიღოს **ავტონომიური გადაწყვეტილება**, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ნებისმიერი პოლიტიკური ორგანოსაგან, ჰქონდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, ასევე ადეკვატური ოდენობის ფინანსური და ადამიანური რესურსი მისი ვალდებულებების რეალიზაციისათვის;

ბ) მარეგულირებელი საბჭოს წევრები (იმ შემთხვევაში თუ არ არის წარმოდგენილი საბჭო, მარეგულირებელი ორგანოს მენეჯმენტი), არჩეულ იქნენ 5-7 წლამდე ვადით, ერთჯერადი ხელახალი არჩევის უფლებით. მათი უფლებამოსილება უნდა შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არ ან ვერ ხდება მოვალეობის შესრულება ან არსებობს ლოკალური კანონმდებლობის შესაბამისი საფუძვლები.<sup>23</sup>

დამოუკიდებლობის შეფასებისას, შესაბამისი ინდექსის დადგენისას, შესაძლოა გამოვიყენოთ ე.წ. **ჯილარდის 2002 წელს რეკომენდირებული ინდექსი** (Gilardi), რომლითაც შესაძლოა დადგინდეს დამოუკიდებლობის ფორმალური ბენჩმარკი. აღნიშნული კრიტერიუმებით ფასდება ავტონომიურობის ხარისხი და მისი დაცვა და დამოუკიდებლობა პოლიტიკური ინტერვენციისაგან. დამოუკიდებლობის შეფასების, ხუთი ელემენტიდან (მარეგულირებლის თავმჯდომარის სტატუსი, წევრების სტატუსი, მარეგულირებლის დამოკიდებულება მთავრობასთან და პარლამენტთან, მარეგულირებლის ფინანსური და ორგანიზაციული ავტონომიურობის ხარისხი და რეგულირების კომპეტენციის ფარგლები) უმნიშვნელოვანესია ხელისუფლებისგან დისტანცირების საკითხი.<sup>24</sup>

აღნიშნული შეზღუდვა, პირველ რიგში, უნდა შეეხოს იმ სქემას, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების შტო, წარმოადგენს რა სახელმწიფო ხელისუფლების იმ ნაწილს, რომელიც ახდენს „ოპერირებას“, მაქსიმალურად იზოლირებული უნდა იყოს მარეგულირებლებისაგან.<sup>25</sup> საკანონმდებლო ორგანო, მთავრობისგან განსხვავებით, დისტანცირებულია მმართველობითი საქმიანობისაგან. **შესაბამისად, მისი როლი უნდა გაიზარდოს მარეგულირებელი კომისიის წევრების კომპლექტაციისას აღმასრულებელი ხელისუფლების შტოს ნაცვლად. პრეზიდენტის**

<sup>23</sup> შენიშვნა: დირექტივის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტი

<sup>24</sup> DOES REGULATORY INDEPENDENCE TRANSLATE INTO A HIGHER DEGREE OF LIBERALIZATION? – EVIDENCE FROM EU ENERGY REGULATORS. Henrik LINDEMANN

<sup>25</sup> Organization Theory. From Chester Barnard to the Present and Beyond. Expanded Edition. Edited by. OLIVER E. WILLIAMSON. New York Oxford

[http://weber.ucsd.edu/~jlbroz/Courses/POLI200C/syllabus/Moe\\_structural.pdf](http://weber.ucsd.edu/~jlbroz/Courses/POLI200C/syllabus/Moe_structural.pdf)



მიერ მარეგულირებელი კომისიის წევრების/თავმჯდომარის პირდაპირი დანიშვნის წესი უნდა ჩანაცვლდეს არა პრემიერ მინისტრის ინსტიტუტის, არამედ საპარლამენტო კომპლექტაციის და შერჩევის რეგულაციის შემოღებით.

*ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამკვიდრებულია არასწორი პრაქტიკა. მე-6 მუხლის შესაბამისად, კომისიის წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. ყველზე არასასურველ რეგულაციას წარმოადგენს ის გარემოება, რომ კომისიის წევრის კანდიდატურას წარადგენს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის წევრი შეიძლება ხელახლა დაინიშნოს ექვსწლიანი ვადით. თუ კომისიის წევრის თანამდებობა ვადაზე ადრე თავისუფლდება, პრეზიდენტი, კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, ნიშნავს ახალ წევრს დარჩენილი ვადით. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, უნდა მოხდეს პრეზიდენტის ჩანაცვლება პრემიერ-მინისტრით, რაც უკეთესია ინსტიტუციურად (როგორც პარლამენტის მიერ არჩეული თანამდებობის პირი) ვიდრე პრეზიდენტის კომპლექტაციის წესი, თუმცა მიგვაჩნია, რომ არასწორია პრემიერ მინისტრისთვის, როგორც აღმასრულებელი უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირისთვის, ერთპიროვნულად, მარეგულირებელი ორგანოს წევრის დანიშვნის უფლებამოსილების მინიჭება.*

**უკეთეს ალტერნატივად მიგვაჩნია მარეგულირებელი კომისიის კომპლექტაციისას გაიზარდოს საკანონმდებლო ორგანოს როლი.**